ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების საკონკურსო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1.წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტი/პროექტების გამოვლენას.

1.2. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

2.1,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების" პროგრამის ფარგლებში ისეთი პროექტი/პროექტები სდაფინანსება/თანადაფინანსება,რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და დასაქმებას.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2.განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3.3. კონკურსისპირობებისდაცვადაშესრულებასავალდებულოაყველასათვის.

4.კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

4.1.კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი,შესაბამისი ბრძანებით.

4.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

4.3. კომისია შედგება 10 (ათი) წევრისგან.

4.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

4.6. კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანულიკანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4.7. კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

4.8. კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

4.9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.10. კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს, მერის ბრძანებით დამტკიცებული დანართი N2 -ის შესაბამისად.

4.11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

4.12. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი